საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზემო ოსიაური

ზემო ოსიაური, სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), დოღლაურის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის დას. ნაწილი), მდ. სურამულის (მტკვრის აუზი) მარცხ. ნაპირას. ოსიაურის თემის ცენტრი (სოფლები: ზ. ო., ახალსოფელი, ქვემო ოსიაური). ზ. დ. 680 მ, ხაშურიდან 3 კმ. 1,4 ათ. მცხ. (2002). სოფლის აღმ. ნაწილში დგას გვიანდ. შუა საუკუნეების ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი ზღუდერის წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია. ნაგებია ნატეხი ქვით. ეკლესიის მახლობლად დაახლ. 8 მ-ზე დგას ქვიშაქვის კვადრებით ნაგები სამრეკლო, რ-იც აღმ-ით და დას-ით თაღებითაა გახსნილი. სოფლის ცენტრში შემონახულია XVII–XVIII სს. ციხე, რ-ის გალავნის ოთხივე კუთხეში თითო კოშკია ჩადგმული.